ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # 68

ქ.ჯვარი „- 25 -„ „- აგვისტო " 2016 წ

ერთი მხრივ, სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა" წარმოდგენილი მისი დირექტორის დარეჯან ფიფიას სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ შპს „პი ემ ჯი" (მისამართი:ქ. თბილისი, რობაქიძის გამზირი # 7) მისი დირექტორის ვასილ ქოჩლაძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"),ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

CPV - კოდი - 35112100 - მანეკენები საგანგებო სიტუაციებისათვის მოსამზადებლად - 495 (ოთხას ოთხმოცდათხუთხმეტი) ლარის ფარგლებში;

ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2016 წ 25 აგვისტოდან 2016 წლის 30 ოქტომბრამდე.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ხელშეკრულებების განხორციელების პროცესში შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირი, მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, საქონლის მიწოდების ადგილას განახორციელებს ინსპექტირებას, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მისაწოდებელი საქონლის ხარისხის რაოდენობის აღრიცხვისა და სპეციფიკის შესაბამისობის კონტროლს.

საქონლის მიწოდების პირობები

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ შემსყიდველის მოთხოვნიდან სამი დღის განმავლობაში მიაწოდოს საქონელი.წერილობით მოთხოვნას ხელს აწერს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი ან მის მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირი. წერილობით მოთხოვნაში გათვალისწინებული იქნება საქონლის ჩამონათვალი. საქონლის მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია:

საგადასახადო ანგარიშფაქტურა და სასაონლო ზედნადებები. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის აღნიშნული დოკუმენტების მიწოდება საქონელთან ერთად. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

მიღება ჩაბარების წინ განხორციელდება მიწოდებული საქონლის საბოლოო შემოწმება, რომელსაც შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს მათ მიერ უფლებამოსილი პირები. ყოველი კონკრეტული შეკვეთის დასრულების შემდგომ მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს შესაბამისი ანგარიშ ფაქტურა.

ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში საბანკო ანგარიშსწორებით. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება–ჩაბარების შემდგომ 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

მხარეთა უფლება –მოვალეობანი

შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს დროული ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და მოცულობით.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების გარდა არანაირი გადასახადი ან დამატებითი თანხის გადახდა (გარდა შესაძლო პირგასამტეხლოსი).

ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება,შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით.

ფორს–მაჟორული სიტუაცია

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათ ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ,რომ;ლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

დავები და მათი გადაწყვეტის წესი:

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკებას მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა

მხარეებს არა აქვთ უფლება ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე გადასცენ სხვა მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

დამატებითი პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან,ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ პროფესიული კოლეჯიუ „ლაკადა“	**შპს „პი ემ ჯი“**
მისამართი: ჯვარი, ყაზბეგის ქ. # 2	მის:ქ. თბილისი,რობაქიძის # 7
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა	პროკრედიტბანკი -MIBGGE22
ს/კოდი:242728679	ს/კოდი:404 863 803
	ანგარიშის ნომერი:
	GE 59PC 0313600100006172 GEL
დირექტორი: დარეჯან ფიფია	დირექტორი: ვასილ ქოჩლაძე